

ევროპის უნივერსიტეტი

საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის

2017 წლის ანგარიში

1. უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაცია სწავლებისა და კვლევის კუთხით საერთო საუნივერსიტეტო ღონისძიებები

2017 წლის 22-24 თებერვალს, ტურიზმის პროგრამის ხელძღვანელის, პროფესორ ეკა დევიძის ორგანიზებითა და ევროპის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის მხარდაჭერით, ევროპის უნივერსიტეტმა ირანის ნაციონალური ენის ინსტიტუტის დირექტორს, ბატონ აქბარ გაფურს უმასპინძლა, რომელმაც უნივერსიტეტის სტუდენტებს კომუნიკაციის ხელოვნებაში ტრენინგი ჩაუტარა. ინტერაქტიური, სწავლებით თანამედროვე მეთოდებითა და საინტერესოდ წარმართული კურსის ბოლოს სტუდენტებს შესაბამისი სერტიფიკატები გადაეცათ.

ბატონი გაფური უკვე მეორე წელია სტუმრობს ევროპის უნივერსიტეტს. წელს პარტნიორული ურთიერთობა ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმის სახით გაფორმდა. მემორანდუმი გულისხმობს სტუდენტთა და პროფესორთა გაცვლას, კულტურულ ტურებს, საზაფხულო სკოლებს საქართველოსა და ირანში, ენის სწავლების, კომუნიკაციისა და ტურიზმის სწავლების მიმართულებით აქტიურ ურთიერთანამშრომლობას.

ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტი

2017 წლის ივნისში, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის კონკურსის წესით შერჩეულმა სტუდენტებმა გაიარეს ჩიკაგოს სპრიგფილდის უნივერსიტეტის პროფესორის ნენსი სკანელის სასერტიფიკატო კურსი ფინანსებში და მიიღეს ელექტრონული სერტიფიკატი ილინოისის ურბანა-შამპანას უნივერსიტეტიდან.

ელექტრონული სამკრდე ნიშნები სტუდენტთა აკადემიური მიღწევების აღიარების ახალი სისტემაა, რომელსაც აქტიურად იყენებენ ისეთი დიდი ამერიკული უნივერსიტეტები, როგორცაა მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური ინსტიტუტი, კალიფორნიის უნივერსიტეტი, ილინოისის ურბანა-შამპანის უნივერსიტეტი, პარდუს უნივერსიტეტი და სხვ. ასევე ისეთი დიდი ორგანიზაციები, როგორცაა გუგლი, პიქსარი, ინტელი, მოზილა და ა.შ. სისტემა

საშუალებას აძლევს კურსდამთავრებულს, ინფორმაცია მის მიერ მოპოვებული სამკერდე ნიშნების შესახებ განათავსოს საკუთარ რეზიუმეში, დასაქმების ფორუმებზე, პროფესიულ სოციალურ ქსელში, ხოლო დამსაქმებელი ბმულის მეშვეობით გადადის სამკერდე ნიშნის გამცემი ამერიკული უნივერსიტეტების საიტებზე, სადაც დეტალური ინფორმაცია არის მოცემული სტუდენტის მიერ გავლილი კურსის შინაარსის, პროფესორის, ადგილისა და კურსის სამკერდე ნიშნის თავისებურების შესახებ. საბოლოოდ, შეფასების ამ ახალი და მოქნილი სისტემის მეშვეობით, მნიშვნელოვნად იზრდება კურსდამთავრებულის განათლების აღიარებისა და დასაქმების შანსები როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო დასაქმების ბაზარზე.

სამართლის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სამართლის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტმა ჩაატარა რამდენიმე სასერტიფიკატო კურსი სამართალში და საჯარო ლექციების კურსები.

სასერტიფიკატო კურსი „სამოქალაქო სამართალწარმოება აშშ-ში“

2017 წლის 2-13 ოქტომბრის ჩათვლით, ამერიკელი პროფესორმა, სამოქალაქო სამართლის ექსპერტმა და ადვოკატმა თომას პოუპმა ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის ორკვირიანი სასერტიფიკატო კურსი „სამოქალაქო სამართალწარმოება აშშ-ში“ ჩაატარა.

სტრასბურგის ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ინსტიტუტის საერთაშორისო სასერტიფიკატო კურსი ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის მიმართულებით

2017 წლის 16-20 ოქტომბერს, ევროპის უნივერსიტეტი სტრასბურგის ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ინსტიტუტს მასპინძლობდა, რომელიც საქართველოში გასვლითი ტურიტ პირველად იმყოფებოდა. ღონისძიების ფარგლებში, ევროპის უნივერსიტეტში საფრანგეთის ელჩი საქართველოში - პასკალ მენიე და საელჩოს კოოპერაციული ატაშეები, საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავჯდომარე - ეკა ბესელია, საქართველოს ომბუდსმენის პირველი მოადგილე - ეკა კაციტაძე, საქართველოს მთავარი პროკურატურის სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტის უფროსი - ირაკლი ნადარეიშვილი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის წარმომადგენლები და არასამთავრობო ორგანიზაციების იურისტები იმყოფებოდნენ. პროგრამის მხარდამჭერები საქართველოში საფრანგეთის საელჩო და გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი იყო.

კურსის ფარგლებში, მოწვეული ევროპელი პროფესორები პროექტის მონაწილეებს ლექციებს ადამიანის უფლებების საერთაშორისო სამართლის მიმართულებით, 5 დღის განმავლობაში უკითხავდნენ. მოწვეულ ლექტორებს შორის იყვნენ: რიკ ლევსონი - ლეიდენის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის პროფესორი (ჰოლანდია), ანტუან მადელენი - ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ფედერაციის დირექტორი, ანტუან კაბორე - მანჩესტერის უნივერსიტეტი, ზუზანა კოვალოვა - გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის ექსპერტი.

პროექტში მონაწილეობა მიიღო საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტმა, მათ შორის ევროპის უნივერსიტეტის, საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის, შავი ზღვისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის სტუდენტებმა. გარდა ამისა, ომბუდსმენის აპარატის წარმომადგენლებმა, მოსამართლეებმა, ადვოკატებმა და სხვადასხვა სფეროში მოღვაწე სამართალმცოდნეებმა, როგორც საქართველოდან, ისე საფრანგეთიდან, უკრაინიდან, სომხეთიდან და სხვ. კურსის ბოლოს, პროექტის მონაწილეებს საბოლოო ტესტირება ჩაუტარდათ და შესაბამისი ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატები გადაეცათ.

სტრასბურგის ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ინსტიტუტისა და ევროპის უნივერსიტეტის ორგანიზებით გამართული პროექტის გამარჯვებული თსუ-ს სტუდენტი, ესმა გუმბერიძე გახდა, რომელიც 2018 წელს სტრასბურგში ერთთვიან სალექციო კურსზე გაემგზავრება.

სასერტიფიკატო კურსი „ინგლისის თავისუფლების დიდი ქარტია და მისი ამერიკული მემკვიდრეობა 1215 წლიდან დღემდე“

2017 წლის 13-18 მარტს ევროპის უნივერსიტეტში სამართლის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ორგანიზებით ჩატარდა სპეციალური სასწავლო კურსი „ინგლისის თავისუფლების დიდი ქარტია და მისი ამერიკული მემკვიდრეობა 1215 წლიდან დღემდე“ კურსის ფარგლებში ევროპის უნივერსიტეტის სპეციალური კონკურსით შერჩეული სტუდენტებმა ინგლისურ ენაზე მოისმინეს ლექციები თავისუფლებათა დიდი ქარტიის (Magna Charta) შექმნის, განვითარებისა და თანამედროვე ამერიკულ კანონმდებლობაში მისი როლის შესახებ. კურსს უძღვებოდა ტეხასის შტატის სენტ მერის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის პროფესორი ვინსენტ ჯონსონი (აშშ). გამოცდის ჩაბარების შემდგომ მსმენელებს სენტ მერის უნივერსიტეტის სერტიფიკატები გადაეცათ.

საჯარო ლექციები

ერთკვირიანი საჯარო ლექციების კურსი აშშ-ის კონსტიტუციაში

2017 წლის აპრილში, ფლორიდის შტატის მოსამართლე მარკ სპეისერმა, ერთკვირიანი საჯარო ლექციების კურსი ჩაუტარა სამართლის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტებს ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციაში.

საჯარო ლექცია შედარებით სამართალში

2017 8 ნოემბერს, ევროპის უნივერსიტეტის საკონფერენციო დარბაზში, ფლორიდის შტატის მოსამართლემ მარკ სპეისერმა ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტებს ჩაუტარა საჯარო ლექცია თემაზე „სახელმწიფოს კონსტიტუციური მოწყობა (აშშ, საქართველო)“.

უწყვეტი განათლების საერთაშორისო პროგრამები

2017 წელს, საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის ჩიკაგოს უნივერსიტეტის უილიამ დევიდსონის ინსტიტუტთან აქტიური თანამშრომლობის საფუძველზე, შეიქმნა Mini-MBA კურსი კომპანიის მენეჯერებისთვის, წამყვანი ამერიკელი პროფესორების მონაწილეობით ევროპის უნივერსიტეტის ბაზაზე, კომპანიის საშუალო და მაღალი რგოლის მენეჯერებს თავაზობს სასერტიფიკატო კურსს ბიზნესის ადმინისტრირებაში.

2. ექსტრაკურიკულური აქტივობების დანერგვა და განხორციელება

სასწავლო ტური გერმანიაში

2017 წლის 7-18 აგვისტოს ჩათვლით, ევროპის უნივერსიტეტი 6 სტუდენტი უნივერსიტეტის ფინანსური და საორგანიზაციო მხარდაჭერით, ექსტრაკურიკულური და ინტერკულტურული პროგრამის ფარგლებში, ინგლისური ენის ინტენსიურ სასერტიფიკატო კურსს გადიოდა ბერლინის ენის აკადემიაში (Deutsche Akademie für Sprachen). საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის ორგანიზებით, სტუდენტებმა ენის ინტენსიური კურსის გავლის გარდა, ასევე დაათვალიერეს ბერლინის ღირშესანიშნაობები, მუზეუმები და მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებაში (გერმანულ-ამერიკული ფესტივალი).

სასწავლო ტური ინგლისში

2017 წელს, სამართლის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტმა გვანცა დათუაშვილმა, ევროპის უნივერსიტეტის ფინანსური მხარდაჭერით, ერთთვიანი სასწავლო კურსი გაიარა ინგლისურ ენაში ლონდონის გოლდერ გრინ კოლეჯში (Golders Green College).

სასწავლო ტური აშშ-ში

2017 წლის 10-22 დეკემბრის ჩათვლით, ევროპის უნივერსიტეტის სამართლის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის კურსდამთავრებული, ნათია როსტომაშვილი, უნივერსიტეტის ფინანსური და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის საორგანიზაციო მხარდაჭერით, სასწავლო ტურით იმყოფებოდა ფლორიდის შტატის სასამართლოში.

ლექციები

აშშ-ის საელჩოს კულტურის ატაშეს ლექცია

2017 წლის 11 მაისს, ევროპის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის მოწვევით, ევროპის უნივერსიტეტს ამერიკის შეერთებული შტატების კულტურის ატაშე, დემიან ვამპლერი ესტუმრა.

შეხვედრის თემა იყო ამერიკული კომიქსები, როგორც ამერიკული კულტურის განუყოფელი ნაწილი.

შეხვედრაზე, რომელიც ინგლისურ ენაზე გაიმართა, ბევრი კითხვა დაისვა, სტუდენტები დაინტერესდნენ ამერიკული კომიქსის დღევანდელი მდგომარეობით, კინოფილმებისა და პოპულარული კომიქსების კავშირითა და პოლიტიკური კომიქსის ჟანრით.

ევროკავშირის ელჩის ლექცია

2017 წლის 10 აპრილს, ევროპის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის მოწვევით, ევროკავშირის ელჩი ბატონი იანოშ ჰერმანი უნივერსიტეტის სტუდენტებს შეხვდა ვიზალიბერალიზაციის თემაზე სასაუბროდ.

შეხვედრაზე, რომელიც ინგლისურ ენაზე ჩატარდა და სტუდენტთა ფართო სპექტრით იყო წარმოდგენილი, ელჩმა ისაუბრა ევროკავშირისა და საქართველოს ურთიერთანამშრომლობაზე.

3. პროფესორების ხელშეწყობა საერთაშორისო ჟურნალებში და კონფერენციებში

ევროპის უნივერსიტეტის პროფესორები საერთაშორისო კონფერენციებზე

2017 წლის 17-19 თებერვალს, ევროპის უნივერსიტეტის პროფესორმა, გლობალიზაციის ეკონომიკური და სოციალური პრობლემების კვლევის ინსტიტუტის დირექტორმა, გივი ბედიანაშვილმა, ევროპის უნივერსიტეტის ფინანსური მხარდაჭერით, მონაწილეობა მიიღო სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტში (ქ. ტეტოვო, მაკედონია) საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის – „1st International Scientific Conference on Business and Economics (ISCBE'17) “Building Bridges between Business Research and Industry Needs” – მუშაობაში.

პროფესორი გივი ბედიანაშვილი ხელმძღვანელობდა სექციას: „ეკონომიკური განვითარება და ევროპული ინტეგრაცია“. ამავე სექციაზე წარმოდგენილი იყო მისი მოხსენება თემაზე: „კულტურა, როგორც არაფორმალური ინსტიტუტი და სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და ბიზნესის ფაქტორი ევროპული ინტეგრაციის კონტექსტით“.

2017 წლის 18-23 სექტემბერს, ევროპის უნივერსიტეტის პროფესორმა, ალექო აპლაკოვმა, მონაწილეობა მიიღო ლვოვის ივანო ფრანკოს სახელობის ნაციონალურ უნივერსიტეტში გამართულ კონფერენციაში „ფუნქციონალური ანალიზი“, რომელიც ცნობილი პოლონელი მათემატიკოსის სტეპან ბანახის 125 წლისთავს ეძღვნებოდა.

2017 წლის 24-31 ოქტომბრის ჩათვლით, ევროპის უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის პროფესორმა, ფიქრია თორიამ, ევროპის უნივერსიტეტის ფინანსური მხარდაჭერით, მონაწილეობა მიიღო სლოვაკეთის ანგლო-ამერიკულ უნივერსიტეტსა და ბრატისლავას უნივერსიტეტებში გამართულ კონფერენციაში, რომელიც სწავლების თანამედროვე მეთოდებს ეხებოდა.

2017 წლის მარტში, ევროპის უნივერსიტეტის ასოცირებულმა პროფესორმა ფინანსებში, გივი ბაქრაძემ, მონაწილეობა მიიღო ავტრიაში გამართულ საერთაშორისო კონფერენციაში.

ევროპის უნივერსიტეტის პროფესორების საერთაშორისო პუბლიკაციები

2017 წლის იანვარში, ევროპის უნივერსიტეტის ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის მოწვეული პროფესორის, გიორგი გიგუაშვილის ნაშრომი “კაპიტალის ბაზრის განვითარების სამართლებრივი ინსტრუმენტები” პრესტიჟულ ამერიკულ სამეცნიერო ჟურნალში “ფინანსები, ბუღალტერია და მენეჯმენტი” დაიბეჭდა (<http://www.gsmi-ijgb.com/Pages/JFAMV8N1.aspx>)

2017 წელს ევროპის უნივერსიტეტის ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის პროფესორის, გივი ბედიანაშვილის ნაშრომი Benchmarking As A Research Method For

Obtaining System Knowledge Of The State Institutional Development საერთაშორისო ჟურნალში "Information Models and Analyses" დაიბეჭდა (<http://www.foibg.com/ijima/vol06/ijima06-01-p05.pdf>).

გარდა ამისა, უნივერსიტეტის პროფესორების ნაშრომები ასევე იბეჭდება ევროპის უნივერსიტეტის მიერ გამართულ საერთაშორისო კონფერენციების კრებულში. კერძოდ, გლობალიზაციის ეკონომიკური და სოციალური პრობლემების კვლევის ინსტიტუტისა და სამართლის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის გამოცემებში.

საერთაშორისო კონფერენციების ორგანიზება

საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური აქტიურად თანამშრომლობდა საერთაშორისო კონფერენციების ორგანიზებისა კუთხით ევროპის უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებთან ბიზნესისა და ტექნოლოგიების და სამართლის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტებზე. კერძოდ, 2017 წელს, საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის მიერ შეიქმნა კონფერენციის The 2nd International Conference on Actual Problems of Knowledge Economy in Modern Globalization 2017, რომელიც 2017 წლის 30 ივნისს სასტუმრო "ქორთიარდ მერიოტში" უნივერსიტეტის გლობალიზაციის ეკონომიკური და სოციალური პრობლემების კვლევის ინსტიტუტმა ჩაატარა. სამსახური ასევე აქტიურად მონაწილეობდა უცხოელ პროფესორებთან კომუნიკაციისა და მათი მიღების პროცესში.

4. უნივერსიტეტის ბრენდინგი, საერთაშორისო დონეზე ცნობადობის ამაღლება

საერთაშორისო აღიარება და ცნობადობა

2017 წელს, საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის აქტიური მუშაობის შედეგად, თურქეთის განათლების უმაღლესი საბჭომ ოფიციალურად ცნო ევროპის უნივერსიტეტის მიერ გაცემული დიპლომები.

2017 წელს, საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის მუშაობიდ შედეგად, მსოფლიოს ჯანდაცვის ორგანიზაციის სამედიცინო სკოლების დირექტორიაში, მოხდა ევროპის უნივერსიტეტის განახლებული მონაცემების შეტანა. კერძოდ, European Teaching University-ის ნაცვლად, უნივერსიტეტის სახელი ფიქსირებულ იქნა როგორც European University. ასევე გარკვეული ცვლილებები განხორციელდა სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაციის განახლების კუთხით. აღნიშნული ცვლილება მნიშვნელოვანი იყო უცხოელ სტუდენტთა რეკრუტირებისა და ბრენდინგის კუთხით.

2017 წელს, სამსახურის მიერ განხორციელდა უნივერსიტეტის მოდიფიცირებული სახელისა და შესაბამისი ინფორმაციის მოდიფიცირება გუგლის საძიებო ბაზაში.

უცხოელ სტუდენტთა რეკრუტირება

2017 წელს, საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური აქტიურად მონაწილეობა უცხოელ სტუდენტთა რეკრუტირების კუთხით. კერძოდ, სამსახურის აქტიური მუშაობით, უნივერსიტეტმა მიიღო 70 უცხოელი სტუდენტი ინდოეთიდან.

უცხოელ სტუდენტებთან ურთიერთობა

2017 წელს საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის მიერ გამართულ ღონისძიებებში, ასევე მონაწილეობდნენ უნივერსიტეტის უცხოელი სტუდენტები (შეხვედრა აშშ-ს კულტურის ატაშესთან, ევროკავშირის ელჩთან და სხვ.)

სამსახური ასევე მართავდა შეხვედრებს უცხოელ სტუდენტებთან საჭიროებისამებრ, საუნივერსიტეტო სერვისების თაობაზე (სერვისების, მედიცინის ახალი საიტის პრეზენტაცია, ევროპის უნივერსიტეტის დიპლომის აღიარება ინდოეთსა და თურქეთში და სხვ.).

მედიცინის ფაკულტეტის ახალი ვებგვერდის შექმნა

საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის ერთობლივი თანამშრომლობის საფუძველზე, 2017 წელს შეიქმნა ევროპის უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის ახალი ვებგვერდი med.eu.edu.ge ინგლისურ ენაზე, რომელიც მნიშვნელოვანი შენაძენი იყო უნივერსიტეტის საერთაშორისო ბრენდინგის კუთხით.

საერთაშორისო ორგანიზაციების წევრობა

2017 წელს, საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის მიერ ევროპის უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის მსოფლიოს წამყვანი საერთაშორისო ორგანიზაციის, ევროპის სამედიცინო განათლების ასოციაციის (AMEE) წევრი გახდა. ორგანიზაციის წევრობა მნიშვნელოვანია მედიცინის ფაკულტეტის განვითარების კუთხით და ის უნივერსიტეტის საერთაშორისო ბრენდინგის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია.

მონაწილეობა Study In Georgia-ს ფარგლებში გამართულ საერთაშორისო ღონისძიებებში

დუბაის საერთაშორისო გამოფენაში მონაწილეობა

2017 წლის 14 აპრილს, ევროპის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურმა მონაწილეობა მიიღო დუბაის საერთაშორისო გამოფენაში, სადაც 130 უნივერსიტეტმა წარადგინა საკუთარი პროგრამები. გამოფენას ფართოდ აშუქებდნენ როგორც არაბული, ასევე ქართული მასმედიის საშუალებები. ევროპის უნივერსიტეტის მედიცინის პროგრამასთან დაკავშირებით გაიმართა 70-ზე მეტი შეხვედრა აგენტებთან, მშობლებთან, განათლების სამინისტროს წარმომადგენლებთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან.

სევილიის საერთაშორისო გამოფენა

2017 წლის 12-15 სექტემბერს, ევროპის უნივერსიტეტმა მონაწილეობა მიიღო ევროპის ასოციაციის საერთაშორისო განათლების ყოველწლიურ კონფერენციაში ესპანეთის ქალაქ სევილიაში. ღონისძიებაში მონაწილეობას იღებდნენ ევროპისა და აზიის წამყვანი უნივერსიტეტები.

საერთაშორისო გამოფენა ინდოეთში

2017 წლის 9-11 ნოემბერს, ევროპის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურმა მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო გამოფენაში, რომელიც ქალაქ ნოიდაში ჩატარდა.

საერთაშორისო კონფერენცია თბილისში

2017 წლის 28-29 სექტემბერს, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ორგანიზებით, Hotels & Preference Hualing Tbilisi-ში საერთაშორისო საგანმანათლებლო კონფერენცია - უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაცია და საერთაშორისო სარეიტინგო სისტემები გაიმართა. ღონისძიება პროექტ Study in Georgia-ს ფარგლებში ჩატარდა და მას ევროპის უნივერსიტეტის წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ.

კონფერენციაში მონაწილეობას იღებდნენ უმაღლესი განათლების მიმართულებით წამყვანი საერთაშორისო სარეიტინგო კომპანიები, მათ შორის: Times Higher Education - World University Rankings, U-Multirank და სხვა. აღნიშნულმა კომპანიებმა ქართულ უნივერსიტეტებს მათი წარმატების მიღწევის მეთოდოლოგია გააცნეს და ჩვენი ქვეყნის უნივერსიტეტების ცნობადობის ამაღლების მიზნით, რეკომენდაციები გასცეს.

საერთაშორისო ვიზიტები

საერთაშორისო კონფერენცია პოლონეთში

2017 წლის 7-10 ოქტომბერს, ევროპის უნივერსიტეტის პრორექტორი - გოჩა თუთბერიძე და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის უფროსი - ლაშა ჩახვაძე პოლონეთის დობროვა გორნიცას უნივერსიტეტში კონფერენციაზე - "უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაცია" იმყოფებოდნენ. ვიზიტის ფარგლებში, ევროპის უნივერსიტეტსა და აღნიშნულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა.

გარდა ამისა, პოლონეთის ვროცლავის უნივერსიტეტსა და ევროპის უნივერსიტეტს შორის ხელშეკრულება დაიდო, რომელიც ერთობლივი დიპლომების გაცემას გულისხმობს. ევროპის უნივერსიტეტმა საქმიანი კავშირები კონფერენციის მონაწილე სხვა უცხოურ უნივერსიტეტებთანაც დაამყარა.

6. კომუნიკაცია სტუდენტებთან, პროფესორ-მასწავლებლებთან და ადმინისტრაციულ რგოლებთან

საორიენტაციო შეხვედრები პირველკურსელებისთვის

ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტი

2017 წლის 29 სექტემბერს ევროპის უნივერსიტეტის ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის პირველკურსელთათვის საორიენტაციო შეხვედრა გაიმართა. შეხვედრას ესწრებოდნენ უნივერსიტეტის ხარისხის მართვის უფროსი - მაია ხურცილავა, საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის უფროსი - ლაშა ჩახვაძე, სპორტის, კულტურისა და სტუდენტებთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი - დავით ლოლუა და ამავე ფაკულტეტის მენეჯერი - ნინო გადილია. საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის უფროსმა სტუდენტებს ინფორმაცია მიაწოდა სამსახურის საქმიანობის, კოორდინატების და საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების შესახებ

სამართლის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

2017 წლის 4 ოქტომბერს, ევროპის უნივერსიტეტის სამართლის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტებისთვის საორიენტაციო შეხვედრა გაიმართა. შეხვედრას ესწრებოდნენ ფაკულტეტის მენეჯერი - მაკა ქორიძე და უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის უფროსი - ლაშა ჩახვაძე. საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის უფროსმა სტუდენტებს მიაწოდა ინფორმაცია სამსახურის საქმიანობის, კოორდინატების, უნივერსიტეტის გაცვლითი პროგრამებისა და საერთაშორისო ურთიერთობების შესახებ.

შეხვედრა საზაფხულო კურსებთან და მოხალისეობრივ პროგრამებთან დაკავშირებით

2017 წლის 29 ოქტომბერს, ევროპის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურმა უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის საინფორმაციო შეხვედრა გამართა. შეხვედრაზე სტუდენტებს მოკლევადიანი საზაფხულო კურსებისა და მოხალისეობის პროგრამების შესახებ ინფორმაცია ამავე სამსახურის უფროსმა, ლაშა ჩახვაძემ, გააცნო.

შეხვედრას ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტები - ზურა დანელია და თემურ გოგრიჭიანიც ესწრებდნენ, რომლებიც უნივერსიტეტის ორგანიზებით, 2017 წლის აგვისტოში გერმანიაში მოკლევადიან საზაფხულო ტურზე იმყოფებოდნენ. სტუდენტებმა აუდიტორიას აღნიშნული ტურის შესახებ ინფორმაცია გააცნეს და თავიანთი შთაბეჭდილებები გაუზიარეს

შეხვედრა პოლონეთში სწავლასთან დაკავშირებით

3 ნოემბერს, ევროპის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური, პოლონეთში სწავლის შესაძლებლობებთან დაკავშირებით, სტუდენტებს კიდევ ერთხელ შეხვდა. სამსახურის ხელმძღვანელმა, ლაშა ჩახვაძემ, პოლონურ უნივერსიტეტებსა და ევროპის უნივერსიტეტს შორის ბოლო დროს მიღწეული შეთანხმებების ფარგლებში, გაცვლითსა და საზაფხულო პროგრამების შესახებ ისაუბრა.

შეხვედრის ფარგლებში, ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტმა, ქეთი ხითარიშვილმა, სტუდენტებს პარტნიორი უნივერსიტეტის საზაფხულო აკადემიის შესახებ შთაბეჭდილებები გაუზიარა და პოლონეთში შექმნილი ცოდნის საფუძველზე, ტრენინგი - „დროის მართვა“ ჩაატარა.

კომუნიკაცია ფაკულტეტებთან

2017 წლის განმავლობაში, საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურს აქტიური კომუნიკაცია ჰქონდა პროფესორ-მასწავლებლებთან როგორც ცალკეული შეხვედრების, ასევე ელექტრონული კომუნიკაციის მეშვეობით. კერძოდ, 2017 წელს ჩატარდა ორი შეხვედრა მედიცინის ფაკულტეტის პროფესორებთან საერთაშორისო ურთიერთობების კუთხით. აქტიური მუშაობა მიმდინარეობდა ტურიზმის პროგრამის ხელმძღვანელთან მალტის უნივერსიტეტთან ომბრივი ხელშეკრულების დადების კუთხით. სამართლის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის და ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის, ასევე მედიცინის ფაკულტეტის დეკანებთან იმართებოდა ხშირი შეხვედრები საერთაშორისო სასერტიფიკატო კურსების ჩატარებისა და უცხოელ პროფესორებთან კომუნიკაციის კუთხით.

7. გაცვლითი პროგრამების შემუშავება

2017 წელს საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის მიერ გაფორმებული ხელშეკრულებები

- დობროვას გორნიცას უნივერსიტეტთან (პოლონეთი)
- ვროცლავის უმაღლეს ბიზნეს სკოლასთან (პოლონეთი)
- დავგაპილსის უნივერსიტეტთან (ლატვია)
- უილიამ დევიდსონის ინსტიტუტთან ჩიკაგოს უნივერსიტეტში
- ეროვნულ საავიაციო უნივერსიტეტთან (უკრაინა)
- ირანის ენის ეროვნულ ინსტიტუტთან
-

თანამშრომლობა პოლონეთის დობროვა გორნიცას უნივერსიტეტთან

2017 წლის 15-23 ოქტომბერს, პოლონეთის "დობროვა გორნიცას უნივერსიტეტის" საზაფხულო აკადემიაში ლექციები შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების შესახებ სასერტიფიკატო კურსი გაიარა, შიდა კონკურსის წესით შერჩეულმა, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის სტუდენტმა ქეთევან ხითარიშვილმა. კურსის დასრულების შემდეგ, მან ტრენინგი ჩაუტარა ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტებს დროის მენეჯმენტის შესახებ და საკუთარი გამოცდილება გაუზიარა.

ერთობლივი დიპლომები

2017 წელს, ერთობლივი დიპლომების შესახებ ხელშეკრულებები დაიდო დობროვა გორნიცას უნივერსიტეტთან და უმაღლე ბიზნეს სკოლასთან ვროცლავში. მიმდინარეობს ერთობლივი მუშაობა კურიკულუმზე, რომელიც ორმაგი დიპლომის გაცემის შესაძლებლობას მისცემს. პროგრამის ამოქმედება იგეგმება 2018 წელს.

მიმდინარე მოლაპარაკებები ერაზმუს+ 2018 წლის კონკურსთან დაკავშირებით

ლონდონის ვესტმინსტერის უნივერსიტეტთან

ლატვიის დავგაპილსის უნივერსიტეტთან

პოლონეთის სიდლიცას უნივერსიტეტთან

დობროვა გორნიცას უნივერსიტეტთან

მაკედონიის სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტთან